

ΠΡΟΣΕΥΧΗΤΑΡΙΟ

რუსთავის ეპარქიის გამომცემლობა
„გორგასალი“



ლოცვა

მესამე შემსებული გამოცემა

დაიბეჭდა რუსთველ მიტროპოლიტ
ათანასეს (ჩახვაშვილი)
ლოცვა-კურთხევით

რუსთავი

1999

ΠΡΟΙΕΧΟΜΕΝΑ

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. წინასიტყვაობა.....	5
2. ლოცვის დროს პირველადი წიგნის და მეორეის შესახებ.....	14
3. ყოველდღიური ლოცვაები ჩუანი ბედნიერებისათვის (შვიდგზის ლოცვაები).....	18
4. დილის ლოცვაები.....	31
5. ძილად მისღვის ლოცვაები.....	46
ლოცვა* ძილად დაწოლისა და სავედრებელი ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა მიმართ სამარადისოდ.....	54
მოკლე ლოცვა ძილის შემდეგ.....	55
მოკლე ლოცვა ძილად მისღვისა და.....	56
6. ბრწყინვალე უნდუღუში დილა-საღამოს ლოცვაების ნაცვლად საკითხავი კანკის შახნი.....	57

*ლოცვანი გამოყენებულია, ამჟამად ხმარებიდან ამოღებული ძველი ქართული ხუთი ასო: ა-იოტა, უ-ეი, მ-ე მერვე, კ-ხარი, მ-პოე. რაც შეეხება მათ წაკითხვას: ა-იკითხება როგორც ი, უ- როგორც უი, მ-ეი, კ-ხ, მ-პიო.

7. "ღირს-არს"-ის ნაცვლად საკითხავი საბალობელი სრულიად წმიდისა და წინა.....	60
8. სხუადანსუა ყოველდღიური ლოცვაები.....	67
იესოს ლოცვა.....	67
ლოცვა იოანე ოქროპორისა და წმიდათა წერილთა კელად მიღებისათვის.....	67
წმიდა წერილის წაკითხვის შემდგომ საკითხავი ლოცვა.....	68
ლოცვა ტაძარში შესღვისა და.....	68
ლოცვა ყოველი საქმის დაწყების წინ.....	69
ლოცვა ყოველი საქმის დამთავრების შემდეგ.....	69
ლოცვები სწავლის დაწყების წინ და შემდგომად სწავლისა და.....	70
ლოცვა საზრდელის მიღების წინ.....	70
ლოცვა შემდგომად საზრდელის მიღებისა და.....	71
ლოცვა წმ. ეფრემ ასურისა და.....	71
ოპტინელი ბერების ლოცვა და.....	72
ლოცვა მგზავრობის მნებებელთა.....	73
ლოცვა ბოროტისაგან დასაკნული და.....	73
ლოცვა სწულთათვის.....	74
ლოცვა წმ. ბასილი დიდისა და ძილსა შინა დაცემისა ერისკაცისა.....	75
ლოცვა სიყუარულის გასავრცობად.....	76
ლოცვა მოძულეთა და მაჭირვებელთა ჩუენთათვის.....	77
ლოცვა ყოველი თხოვნის აღსრულების შემდგომ.....	77

დედის ლოცვა.....	78
ლოცვა დღითი-ღღე სათქმელი ყოვლად- წმიდისა ღმრთისმშობელისა მიმართ, უკუეთუ გსურის ზილვა მისი ჟამსა სულისა შენისა განყოფისასა.....	80
9. ლოცვაჲი შვილიერაჲისათჳს	84
10. აღსარაჲის წინ საკითხავი ლოცვაჲი.....	92
11. აღსარაჲა.....	101
12. აღსარაჲის შვედგოჲა საკითხავი ლოცვაჲი.....	114
13. ლოცვაჲი ზიარაჲის წინ.....	115
14. ზიარაჲის შვედგოჲა სამადლოგელი ლოცვაჲი.....	157
15. დიდი საეკლესიო დღესასწაულაჲი და მათი ტროპარ-კონდაკნი.....	166
16. საზოგადო ტროპარ-კონდაკნი.....	175
17. სადიდებელ-სავედრებელნი.....	179
18. სამოკლვროდ.....	196
19. მოსახსენებელი ცოცხალთათჳს.....	204
20. მოსახსენებელი მიცვალებილთათჳს.....	206

წინასიტყვაობა

ძვირფასო სამწყსოვ!

დიდია ღვთის განგება და ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელი. „დიდ ხარ შენ, უფალო და საკვირველ არი-
ან საქმენი შენი“. ღვთის მაღლითა და წყალობით აღსდგა
წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის დროს დაარსებული და
შემდგომ, საუკუნეების განმავლობაში, ჟამთა აებულებით უდაბნო-
ტრამალად ქცეული რუსთავის ეპარქია, რუსთავის კათედრა.
აღსდგა და დღე დაუღვა განახლებისა, აღორძინებისა, აქტიური
მოქმედებისა... ღვთის განგებით და მისი ლოცვა-კურთხევით
ეპარქიაში სხვადასხვა კუთხით იშლება საღმრთო –
განმანათლებლური საქმიანობა.

წინამდებარე „ლოცვანი“ სიხარულით მინდა გაუწყოთ:
იგი პირშნა ახლადშექმნილი რუსთავის ეპარქიის გამომცემ-
ლობისა, რომელსაც ვლოცავ, ვაკურთხებ და ბარაქიან შემოქმე-
დებით გზას ვუსურვებ ღვთის სადიდებლად.

მოგეხსენებათ, მორწმუნე ადამიანისთვის ყველანაირ
ურთიერთობათა განმსაზღვრელი არის ურთიერთობა უზენაეს-
თან, ქვეყნის შემოქმედთან – ღმერთთან. ამ ურთიერთობას
ლოცვა ეწოდება.

„მოუკლებელად ილოცვედით, ყოველსა შინა ჰმადლობ-
დით, რამეთუ ესე არს ნება ღმრთისა ქრისტეს იესუს მიერ

თქუენდა მიმართ“ (1 თეს. 5, 17-18) – გვასწავლის წმიდა პავლე მოციქული და ღმერთთან დაკარგული კავშირის აღდგენისაკენ მოგვიწოდებს.

ჩვენი მიზანი, დღეს, მხოლოდ უმცირესის შეძლებაა – სწორი დამოკიდებულება დავამყაროთ შემოქმედთან, რათა არ ავცდეთ მისკენ მიმავალ „იწრო“ გზას. ამისთვის კი არსებობს წმიდა მამების მიერ დადგენილი გარკვეული ლოცვითი კანონი, რომელიც მათდამი ღვთაებრივ გამოცხადებებსა და მათ პირად სულიერ გამოცდილებას ეფუძნება.

მორწმუნე მართლმადიდებლის ყოველი დღე უნდა იწყებოდეს და მთავრდებოდეს ღვთის ღიდებით. დილით, უზმობზე, მოწესრიგებულნი და წმიდა სატების წინაშე მდგომნი, დამშვიდებული, დაბალი ხმით ვიწყებთ „დილის ლოცვების“ შესრულებას. ამის გარდა, დილით, სასურველია, მოძღვრის ლოცვა-კურთხევით, მორწმუნემ იკითხოს ფსალმუნნი, სახარება და ილოცოს აგრეთვე საკუთარი სიტყვებითაც.

დღის ბოლოს მორწმუნემ უნდა გაიხსენოს განვლილი დღე, ანალიზი გაუკეთოს ჩადენილ ცოდვებს ანუ ისეთ გულისთქმას, სიტყვას თუ ქმედებას, რომელიც ღვთის მცნებათა და საკუთარი სინდისის საწინააღმდეგოდ მიაჩნია. ამით ის აღსარებისათვისაც რეგულარულად ემზადება. შემდეგ ისევ დამშვიდებული, დაბალი ხმით აღავლინოს „ძილად მისღვის ლოცვები“.

იშვით შემთხვევაში, როცა გადაუდებელი საქმე ან რაიმე მიზეზი არ გვაძლევს საშუალებას, ბოლომდე წავიკითხოთ ლოცვები – გამონაკლისის სახით დაშვებულია მოკლე ლოცვების წაკითხვა. მთავარი კი სისტემატურობა და გულმოდგინებაა ღვთის წინაშე, რისთვისაც ღმერთი ძალას მისცემს და წყალობას არ მოაკლებს მორწმუნე ადამიანს.

დღის განმავლობაში ვასრულებთ სხვადასხვა ლოცვებსაც, კერძოდ: „დღეში 7-გზის ლოცვებს“, იესოს ლოცვას, ლოცვებს სხვადასხვა საქმის დაწყებისას თუ დამთავრებისას და ა.შ. იმის მიხედვით, თუ რა ესაჭიროება ამა თუ იმ დროს ჩვენს სულს.

1989 წლის შობის დღესასწაულიდან მოყოლებული, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესის და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, დღეში 7-ჯერ ვასრულებთ მოკლე ლოცვებს – 6, 9, 12, 15, 18, 21 და ღამის 12 სთ-ზე კარგი იქნება, თუ ამ ლოცვებს ყოველი ქრისტიანი სავალდებულოდ გაიხდის (მათ მნიშვნელობაზე თვით კათოლიკოს-პატრიარქის მიერაც მრავალჯერ ითქვა), რაც საწინდარი იქნება ღვთისაგან დახმარების, მფარველობისა და ლოცვა-კურთხევის მიღებისა.

დღის განმავლობაში აღვაკლებთ სხვადასხვა საჭირო ლოცვას ანუ ყოველი საქმისათვის ღვთისაგან ვითხოვთ კურთხევას: საჭმლის ჭამის წინ, რაიმე საქმეზე წასვლისას თუ სხვა. ამასთან, თუ ადამიანი მთელი დღე საქმიანობს,

ლოცვას იტყვის ერთხელ და არა ყოველი კონკრეტული ქმედების წინ.

იესოს ლოცვას – „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“ – 2000 წლის ისტორია აქვს. წმიდა მამების აზრით, იგი მისტიკური* ძალისა და მნიშვნელობის მქონეა. მას იმეორებდნენ წმიდა მოციქულები, წმიდა მამები. ჩვენც, მორწმუნე მართლმადიდებელნი, ამ ლოცვას განუწყვეტლივ უნდა ვიმეორებდეთ, რადგანაც იგი წმინდს, ზღუდავს და იცავს გულსა და გონებას ბოროტი გულისთქმისა და აზრებისაგან. შემდეგ ეს შინაგანი ლოცვა უკვე წინაპირობა ხდება მორწმუნე ადამიანში ღვთაებრივი ნათლის გამობრწყინებისა. იესოს ლოცვას ვლოცულობთ, როგორც ხმამაღლა, ისე გულში. იგი შეგვიძლია ვიმეოროთ ნებისმიერ მდგომარეობაში: ვზივართ თუ ვწევართ, ვჭამთ თუ ვმკვდარობთ, გვიჭირს თუ გვიღებინს.

ქრისტიანის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა არის ზიარება, რომელიც მან პერიოდულად უნდა მიიღოს, რათა ღიმილი ხნის უზიარებლობით სულიერად არ დაუძლურდეს. მორწმუნე ადამიანი წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ეზიარებოდეს.

*მისტიკა (ბერძნული სიტყვიდან – მისტიკოს – იღუმალი) – იღუმალი, ზებუნებრივი, ზეგონიერი და ზეგრძნობადი.



ადრე, პირველ საუკუნეებში, როდესაც ღვთის რწმენა და სიყვარული გაცილებით ღიმი იყო, ქრისტიანი ყველა წირვაზე ეზიარებოდა. მორწმუნე განსაკუთრებულად გულმოდგინედ უნდა მოემზადოს ამ საიდუმლოსათვის: სინანულით, მარხვით და ლოცვით, რა თქმა უნდა, ეს უნდა ხდებოდეს მოძღვრის მეთვალყურეობის ქვეშ და მისი ლოცვა-კურთხევით.

როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ზიარებას წინ უსწრებს სინანულის საიდუმლო, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ღვთის წინაშე მოძღვართან ვამბობთ აღსარებას ანუ ვინაივით ჩადენილ ცოდვებს; სასურველია, აღსარების წინ და შემდეგ ვიკითხოთ ლოცვები „აღსარებასა ზედა“ და „აღსარების შემდგომ“.

ზიარების წინა ლოცვების წაკითხვა შეიძლება ზიარებამდე ნებისმიერ დროს, მაგრამ უნდა შევეცადოთ, რომ ეს არ მოხდეს უშუალოდ ეკლესიაში მსახურებისას. ამიტომ უმჯობესია მათი კითხვა დავიწყოთ წინა საღამოს, მსუბუქი ვახშმის შემდეგ. ეს ლოცვები საკმაოდ ხანგრძლივი დროის საკითხავია და თუკი ადამიანს უჭირს დაღლილობისა თუ სხვადასხვა უძლურებათა გამო, ლოცვების გაყოფა დასაშვებია. ამ შემთხვევაში „ძილად მისლვის ლოცვების“ ნაცვლად წავიკითხავთ ზიარების ლოცვებიდან 9 გალობას და ფსალმუნებს, მეორედღეს კი „ღიმიის ლოცვების“ ნაცვლად – დარჩენილ 12 ლოცვას. შეიძლება ლოცვების სამ ნაწილად გაყოფაც.

საჭიროების შემთხვევაში და შესაძლებლობის მიხედვით.

ზიარების შემდგომ ღმერთს მადლობას ვწირავთ „სამადლობელი ლოცვით“ „სამადლობელი ლოცვის ბოლო ნაწილს, ტროპარ-კონდაკებს,* წარმოვთქვამთ იმის მიხედვით, თუ ვისი ლიტურგია აღესრულა იმ დღეს – წმ. იოანე ოქროპირის, წმ. ბასილი დიდის თუ წმ. გრიგოლი დიოლოლოსის.

წინამდებარე „ლოცვანში“ აგრეთვე მოცემულია ტროპარნი და კონდაკნი, რომელთაც აღვაკლენთ შესაბამის დღესასწაულებზე, სხვადასხვა დღესასწაულის ან წმიდანის ხსენების დღეს და სხვადასხვა გასაჭირში შეწვევისათვის. „ლოცვანის“ ბოლოს მოცემულია მოსახსენებელი, რითაც მლოცველს შესაძლებლობა ეძლევა ლოცვანშივე იქონიოს პირად ლოცვებში მოსახსენებელ ცოცხალთა და მიცვალებულთა სახელები.

„ლოცვანი“-ს წინამდებარე გამოცემა ეძღვნება მართლმადიდებლობის დიდ დღესასწაულს – ქრისტეშობის 2000 წლისთავს. 2000 წელია, რაც ბეთლემის გამოქვაბულში სიმაბლთით შობილმა მაცხოვარმა გახსნა ცათა სასუფეველის კარი, 2000 წელია „დააბიჯებს“ ჭეშმარიტება დედამიწაზე

*ტროპარნი და კონდაკნი – ტროპარი (ბერძნული სიტყვა – „ტროპარიონ“ ძვ. ქართ. „დასდებელი“) – სალოცავი სტროფი ან ვალობა რაიმე დღესასწაულის ან წმიდანის პატივსაცემად. კონდაკი (ბერძნული სიტყვა – „კონდაკიონ“) – მოკლე, ასე იწოდებოდნენ პერგამენტის გრაფიკები, რომლებზეც იყო აღწერილი ქრისტიანული საგალობლები. შემდგომ ასევე ეწოდათ თვითონ საგალობლებს, რომლებშიც მოცემულია მოკლე აღწერა საეკლესიო დღესასწაულისა ან რომელიმე წმიდანის ცხოვრებიდან ყველაზე უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა.

და ჩვენს პატარა, საოცარ საქართველოში, რომლის ისტორია თანხვდომილია ქრისტიანობის ისტორიისა. მინდა, გულით მიეულოცო ყოველ მართლმადიდებელს ეს უდიდესი დღესასწაული და ვუსურვო სარწმუნოებაში გაძლიერება, ცრუსწავლებლებთან შორს დგომა და დიდი წარმატებები პირად ცხოვრებაში.

როგორც წინა გამოცემებში ვიუწყებოდით, „ლოცვანის“ შემდგენლებს ლოცვა-კურთხევა ჰქონდათ, რაც შეიძლება სრულყოფილი და დახვეწილი ტექსტი მიეწოდებინათ მორწმუნეთათვის, რისთვისაც ისინი შეძლებისდაგვარად დაუკავშირდნენ მრევლის გარკვეულ ნაწილს. წიგნის შედგენისას გათვალისწინებულ იქნა მრევლის მიერ ბოლო დროს მოწოდებული სურვილები და შენიშვნები და ამ გამოცემაში ბევრი საინტერესო მასალა იქნა შეტანილი (დიდი თხოვნა გვაქვს „ლოცვანი“-ს მკითხველთან, რათა დამატებითი სურვილებით და შენიშვნებით დაგვიკავშირდნენ წიგნის ბოლოში მითითებულ მისამართზე); ასე მაგალითად: „დილის ლოცვებში“ მიცვალებულთა მოსახსენებელ ლოცვას დაემატა მუხლები, რომლებიც აქამდე არ იყო მოცემული. იქ, სადაც აღსარების წინ და შემდგომ საკითხავი ლოცვები იყო მოცემული, ჩაემატა აღსარების დროს სათქმელი ცოდვების ჩამონათვალი, რომელიც უსათუოდ გაუწევს დახმარებას აღსარების თქმის მსურველთ. შეტანილია სავედრებელი ტროპარები რიგი წმინდანებისა, რომელთა მეთხუბასაც ყოველდღიურად ვსაჭიროებთ. მნიშვნელოვანაა აგრეთვე ახალი განყოფილება – „სვედრებელი ლოცვები შეილიერებისათვის“.

ამ ლოცვების კითხვას ვურჩევ არა მარტო იმ ცოლ-ქმართ, რომლებმაც უკვე დიდი ხანია შექმნეს ოჯახი და არა ჰყავთ შვილი, არამედ – ახალდაქორწინებულებსაც, რადგან უფლის ნებით ხდება ყველაფერი და არ არსებობს მისთვის დრო. ამიტომ სჯობს შეუღლებიდანვე ვევედროთ მას, რათა მოგემადლოს ჯანმრთელი და სასურველი შვილები, მითუმეტეს, ჩვენს დროში, როდესაც ჯანმრთელი ბავშვების დაბადება იშვიათობად იქცა.

შვილიერება და გამრავლება ჩვენი ერის ღია ჭრილობაა დღეს. საქართველოში ბოლო დროს შექმნილი ვითარება მრავალი მძიმე შედეგით იმუქრება, მათ შორის უმძიმესი – ერის განადგურებაა. ყოველი ოჯახის მოვალეობად მიმაჩნია ზემოდ თქმულის გათვალისწინება და ზრუნვა – მრავალი შვილი აღუზარდოს ქართველ ერს. ამ დიდ საქმეში მათ შეეწვეათ იმ წმინდანთა ლოცვა, რომელთაც ღვთისგან შვილის ყოლის მსურველთა მეოხება აქვთ მინიჭებული. ამიტომ ყველას, ვინც ოჯახი შექმნა, ლოცვა-კურთხევას ვაძლევ, იკითხონ „სავედრებელი ლოცვები შვილიერებისათვის“, და ვუსურვებ მათ გამრავლებას თავიანთი ოჯახისა და ქართველი ერის საკეთილდღეოდ, რამეთუ საქართველოს რწმენის სიძლიერე და შვილთა სიმრავლე გადაარჩენს.

სიხარულით მინდა ავღნიშნო – „ლოცვანი“-ს ახალი გამოცემის აუცილებლობა მასზე დიდმა მოთხოვნილებამ გამოიწვია, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ იზრდება მლოცველთა რიცხვი, ვძლიერდებით და თუ რწმენაში განვმტკიცდით, გწამდეთ, სხვა ყველაფერი თავის ადგილზე დადგება – აზრს დაკარგავს სხვადასხვა სექტებისა და მწვალებლური ორგანიზაციების არსებობა, ერიც გამრავლდება და ქრისტიანობის

2000 წლისათვისაც იმ წმიდა და შეუფასებელი განძეულით შევხვდებით, რომელიც ოდესღაც უფლისგან მოგვეკუთვნა.

აქ მინდა გავიხსენო წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სიტყვა, რომლითაც მან დიდგორის ომის წინ მიმართა თავის ლაშქარს: „ეჰა, მეომარო ქრისტესნო! თუ ღმრთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ“-ო. დღეს „სულიერი დიდგორი“ დასდგომია საქართველოს. გვიტევს ეშმაკი, რითაც კი ხელი მოემართება, იქნება ეს ათასნაირი სექტების შემოსევა თუ ურწმუნოება, სწავლა-განათლების ხელმოუწვდომლობა თუ გაუფასურება, ეკონომიური სიდუხჭირით გამოწვეული მიგრაცია თუ ათასი სხვა რამ, რომელთა აბსოლუტური უძრავლესობა ქართველი ერის სამტროდაა გათვალისწინებული. მოძალბებულ ეშმაკს უფლის სყვარულით, შიშით, ლოცვით და მარხვით თუ დავამარცხებთ მხოლოდ.

ეცადეთ, არ მოიკლოთ ეკლესიაში სიარული და ლოცვა, რამეთუ მხოლოდ ამ გზით მოვერევით ეშმაკის ყოველგვარ საცთურს.

ღმერთმა არ მოგაკლოთ ლოცვის მადლი!
ზეციერმა მამამ დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

რუსთველი მიტროპოლიტი + ათანასე
(ჩახვაშვილი)